№ 7-20 „30“ მარტი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის დროს, გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა ნაგებობებზე

სადემონტაჟო შენობების ტერიტორიის ზოგადი აღწერა:

სადემონტაჟო შენობების ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჰეიდარ ალიევის სახელობის მარჯვენა სანაპირო N1-ში, (ს.კ. N 01.10.18.001.003). ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.10.18.001.014. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.10.18.001.005. აღმოსავეთიდან ესაზღვრება ჰეიდარ ალიევის სახელობის მარჯვენა სანაპირო. დასავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს.კ-ით N 01.10.18.001.004. რომელზეც განთავსებულია ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობა.



გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე:

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები ერთ სართულიანებია, სადაც მოწყობილია ტექინსპექტირების ცენტრი, კაფე და ავტოსამრეცხაოები. შენობები გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა. კაფე და მისი დამხმარე ფართი ნაშენია მსუბუქი ბლოკის კედლის წყობით, ხოლო დანარჩენი ნაწილები ნაშენია ნაგლინი ფოლადის პროფილური ელემენტებით, რომლებიც შემოზღუდულია პროფილირებული თუნუქის ფურცლებით.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებთან ყველაზე ახლოს განთავსებულია მომიჯნავედ არსებულ ნაკვეთზე (N 01.10.18.001.004) მდებარე ერთ სართულიანი შენობა, რომელიც მოშორებულია სადემონტაჟო შენობას მიახლოებით 9 მ. მანძილით.

გამომდინარე იქიდან, რომ სადემონტაჟო ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ მსუბუქ კონსტრუქციებს და მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული შენობიდან მოშორებულია 9 მ. მანძლით, მისი დემონტაჟი არანაირ უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს მის მახლობლობაში მყოფ შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი შალვა მდინარაძე
shako.mdinaradze@gmail.com
557 270 270

30.03.2020 წ.